საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030141649437012

KA030141649437012

№ 01-251/ო **24 / აგვისტო / 2012 წ.**

„ელექტრონული ჯანდაცვის“ მოდულებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ელექტრონული ჯანდაცვის“ ფარგლებში შესაბამისი მოდულების ფუნქციონალების განხილვისა და „ელექტრონული ჯანდაცვის“ მოდულების დანერგვის თაობაზე წინადადებების შემუშავების მიზნით,

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას „ელექტრონული ჯანდაცვის“ შესაბამის მოდულებზე მომუშავე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ცენტრალური აპარატისა და სხვა შესაბამისი წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფები შემდეგი სახით:

1. ლიცენზირება/ნებართვების მოდული:

ა) სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ბ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;

დ) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;

ე) სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

ვ) სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

ზ) „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტი“ (HSSP).

2. სერტიფიცირების მოდული:

ა) სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ბ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;

დ) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;

ე) სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

ვ) სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

ზ) „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტი“ (HSSP).

3. ფარმაცევტული მოდული (აფთიაქების ბაზა, წამლის რეესტრი):

ა) სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ბ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;

დ) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;

ე) „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტი“ (HSSP).

4. სამედიცინო და ფარამაცევტული დაწესებულებების პორტალი:

ა) სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ბ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;

დ) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;

ე) სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

ვ) „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტი“ (HSSP).

5. ელექტრონული რეცეპტი:

ა) სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ბ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;

დ) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;

ე) „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტი“ (HSSP).

6. შემთხვევების რეგისტრაციის ახალი მოდული:

ა) სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ბ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;

დ) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;

ე) სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

ვ) სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

ზ) „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტი“ (HSSP).

7. ელექტრონული სერვისების განხორციელების სქემა:

ა) სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ბ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი;

დ) სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;

ე) სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

ვ) სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

ზ) „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტი“ (HSSP).

8. ამ ბრძანების ფარგლებში მომუშავე სამუშაო ჯგუფებს დაევალოთ:

ა) ელექტრონული ჯანდაცვის შესაბამისი მოდულების ფუნქციონალის შესწავლა და არსებულ ბიზნეს-პროცედურებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, როგორც შესაბამისი მოდულის ფუნქციონალის კუთხით, ასევე, საინფორმაციო სისტემის დანერგვის ხარჯზე არსებული ბიზნეს-პროცედურების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით;

გ) განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების ასახვა შესაბამის სამართლებრივ ბაზაში.

9. ამ ბრძანების ფარგლებში თითოეულ მოდულზე განხორციელდეს საჭირო ცვლილებების კლასიფიცირება და მათი სამართლებრივ სივრცეში ასახვის მიზნით კონკრეტული წინადადებების მომზადება.

10. თითეული მოდულის ფარგლებში განსახილველი წინადადებების პირველადი პროექტი სამინისტროს ხელმძღვანელებთან (მინისტრი, მინისტრის შესაბამისი მოადგილე) განხილულ იქნეს არაუგვიანეს 2012 წლის 15 სექტემბრისა.

11. დაევალოს:

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამის კურატორ მოადგილეებს მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოდულებზე მომუშავე ჯგუფის წევრებს;

ბ) ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფში მონაწილე შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს განსაზღვრონ და ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს (ა. ხუსკივაძე) მიაწოდონ თითოეულ მოდულზე მონაწილე სამუშაო ჯგუფში გამოყოფილი წარმომადგენლები, ასევე ხელი შეუწყონ ამ ჯგუფების მუშაობას.

12. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, დავით ლომიძეს.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი